ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

9 იანვარი, ოთხშაბათი, 1991 წ.
№ 4 (10417) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

შეიქმნა „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი“. თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ საქართველოს მრეწვმშენბანკის საოპერაციო სამმართველოში სფზ № 521921. „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი“

00700750

ველით თქვენს გამოხმაურებას. თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ „ლელოს“ რედაქციაში.

„შემკეთებელი“—3 000!

რუსთავის სარემონტო სამონტაჟო კოოპერატივმა „შემკეთებელმა“ სამაჩაბლოს ფონდს 3.000 მანეთი შემატა.

ვ. გელაშვილი,
კოოპერატივის თავმჯდომარე.

30 000 და სამშენებლო მასალები

თელავის რაიონის მახალობის სამეურნეოთაშორისო [illegible] „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში“ გადარიცხა 30 ათასი მანეთი. სამაჩაბლოში მშენებლობების დაწყებისას ამდენივე საფასურის დეფიციტურ სამშენებლო მასალებს მივაწვდით ახალი სოფლის მშენებლებს.

საწარმოს დირექტორი
ჯემალ თანდილაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი პოზიცია

ჯერ მხოლოდ ფაქტები. დეკემბერში კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის სესიაზე, რომელიც მიუნხენში ჩატარდა, სლოვაკიის გაზეთ „სმენას“ კორესპონდენტი გაესაუბრა ამ ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბ. სტანკოვიჩის ტექნიკურ ასისტენტს ლ. კოტლებს ფედერაციის დამოკიდებულების თაობაზე პოლიტიკასთან.

საუბრისას ტექნიკურმა ასისტენტმა განაცხადა: „ჩვენ მივიღეთ ზოგიერთი საბჭოთა რესპუბლიკის თხოვნა ფიბა-ში (საერთაშორისო ფედერაციაში) გაწევრიანების შესახებ. ფედერაციის პრინციპის თანახმად, სპორტული გადაწყვეტილება პოლიტიკურ გადაწყვეტილებას უნდა მოჰყვეს. ჩვენ წესდების თანახმად, ვცნობთ მხოლოდ ერთი ქვეყნის ერთ ფედერაციას“. შემდეგ, ინტერვიუში ნათქვამია: „...ჩვენ ფიბა-ს შემადგენლობაში შეგვეძლო მიგვეღო, მაგალითად, ლიტვა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი მას დამოუკიდებელ რესპუბლიკად სცნობდა... დღევანდელ სიტუაციაში კი ფიბა საბჭოთა კავშირში მხოლოდ სსრკ კალათბურთის ფედერაციას აღიარებს“.

მეორე, ჩვენთვის არანაკლებ საინტერესო ცნობას ფრანს პრესის სააგენტო გთავაზობთ. ამ ცნობაში ლაპარაკია საფრანგეთის ტერიტორია — ტაიტიზე, უფრო სწორად, კუნძულზე, რომლის მოსახლეობა სულ მცირედით აღემატება 95 ათას კაცს.

ტაიტის სპორტის მინისტრის ნაპოლეონ სპიტცის განცხადებით, საფრანგეთის ეს საზღვაო ტერიტორია ოლიმპიური დამოუკიდებლობის მიღებას აპირებს. ტაიტი სულ მალე გააფორმებს მეხუთე ეროვნულ სპორტულ ფედერაციას, რაც მას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრობის უფლებას მისცემს. რაც მთავარია, ტაიტის ამ განზრახვას მხურვალედ უჭერს მხარს სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი.

მეხუთე ფედერაცია, რომელმაც ტაიტელებს დამოუკიდებლობა მისცა, იყო საფრანგეთის ცურვის ეროვნული ფედერაცია. მანამდე ეს უფლება მოიპოვეს ტაიტელმა კალათბურთელებმა, ფეხბურთელებმა, ძალოსნებმა და ტეკვონდოს წარმომადგენლებმა. ნაპოლეონ სპიტცს გადაწყვეტილი აქვს დამოუკიდებელი დელეგაცია გააგზავნოს ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე.

ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტი და ორი განსხვავებული დამოკიდებულება. ჯერ ერთი, გასაკვირია კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის პოზიცია, ვინაიდან, ლიტვა, ისევე როგორც საქართველო, ლატვია, ესტონეთი და სხვა საბჭოთა რესპუბლიკები სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის თანახმად, აღიარებული არიან, როგორც სუვერენული სახელმწიფოები. გასაკვირია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოზიციაც, რომელიც ზოგ ქვეყანას კი არა, ტერიტორიასაც ყოველმხრივ ხელს უწყობს სოკ-ში გაერთიანებაზე, ზოგის მიმართ, კი გაუგებარ გულგრილობას იჩენს.

ამ მხრივ სამაგალითოდ შეიძლება მივიჩნიოთ საფრანგეთის სპორტის ეროვნული ფედერაციების მზადყოფნა, მიანიჭონ დამოუკიდებლობის სტატუსი ტაიტის ეროვნულ ფედერაციებს და ამით ხელი შეუწყონ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის მონაწილეობას საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში.

◆

სპორტსახკომის პოზიცია

გუშინ საქართველოს სპორტსახკომში გამართულ თათბირზე ერთხელ კიდევ დადასტურდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილების სისწორე და შეუვალობა. თათბირზე აღინიშნა, რომ პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის დადგენილებამ საქართველოს სპორტულ სამყაროში გამოიწვია უკმაყოფილება და გამოითქვა პროტესტი იმის გამო, რომ ასეთი დადგენილების მიღებით შეილახა ქართველი ხალხის ეროვნული ღირსება.

„სამაჩაბლოს აღორძინების ფონდს!“

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის საბჭოს სახელით მოგესალმებით და გისურვებთ წარმატებებს ჭეშმარიტად კეთილშობილურ და მამულიშვილურ საქმეში.

გაცნობებთ, რომ ჩვენი მცირერიცხოვანი თანხიდან თქვენს ანგარიშზე გადმორიცხულია 1000 მანეთი. ინსტიტუტის თანამშრომლები თანხას ცალკე გაიღებენ.

ა. კეკელიძე,
დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის საბჭოს თავმჯდომარე, დოცენტი.

მცირედიც შეიწირების

რუსთავის სპორტკომიტეტმა „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში“ 112 მანეთი შეიტანა.

კარლო ნაჭყებია,
კომიტეტის თავმჯდომარე (დეპუტატი).

* * *

ახალდაბის სატყეო საცდელი სადგურის მცირერიცხოვანმა კოლექტივმა „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში“ გადარიცხა ორი დღის ხელფასი — 217 მანეთი.

ზვიად გოცირიძე,
დირექტორი (დეპუტატი).

მატიანე

ცენტრალური თავდამსხმელი კალათბურთში მთავარი ფიგურა იყო მუდამ, განსაკუთრებით კი 50-60-იან წლებში, როცა შეხვედრის ბედს ხშირად ერთი მოთამაშე წყვეტდა. გიგანტომანიით გატაცება ხშირად მახინჯ ფორმებსაც იძენდა. აი, სწორედ მაშინ გამოჩნდნენ კალათბურთში ვასილ ახტაევი და მისი მსგავსი გოლიათები, რომლებსაც არც სისწრაფე ჰქონდათ საკმარისი, არც ტექნიკა და მხოლოდ სიმაღლით უქმნიდნენ პრობლემებს მეტოქეებს.

მათ შორის გამორჩეული იყო რიგის არმიელთა კლუბის ცენტრალური თავდამსხმელი იანის კრუმინში — ფიზიკურად ძლიერი, გამძლე, აზარტული და უდავოდ ტექნიკური ფორვარდი, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ გუნდის წარმატებებს როგორც საკავშირო, ისე ევროპის სარბიელზე. ალბათ გახსოვთ, რომ იმ პერიოდში კრუმინშის გუნდი საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონიც იყო და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელიც.

კრუმინშის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი ნეიტრალიზება ყველა კლუბის უმთავრესი პრობლემა იყო. თბილისის მაშინდელ „დინამოში“ ამ ამოცანას წარმატებით ართმევდა თავს ანზორ ლეჟავა, რომელიც არც ჯანით ჩამოუვარდებოდა „დიდ რიგელს“ და არც ტექნიკური ოსტატობით. მაგრამ კრუმინში ყველა თავის ოპონენტზე უფრო მაღალი იყო (227 სმ) და ამ უპირატესობას იგი ოსტატურად იყენებდა. ამიტომ ერთი პერსონალური მეურვით თამაშში მის წინაღმდეგ ძნელი იყო. თბილისელთა გუნდში ლეჟავას ჰყავდა დამხმარე, რომელიც პერიოდულად სტოვებდა თავის ზონას და კრუმინშზე „ნადირობაში“ აქტიურად ერთვებოდა. ეს გახლდათ ამირან სხიერელი.

ამ ფოტოზეც, რომელიც თბილისისა და რიგის კალათბურთელთა შეხვედრის ერთ მომენტს ასახავს, კრუმინშის წინააღმდეგ ბრძოლის ტიპიური ფრაგმენტია აღბეჭდილი, დინამოელთა ჩანაფიქრის ახსნა არც ისე ძნელია: ლატვიელმა არ უნდა მიიღოს გადაცემა და არ უნდა დაიწყოს შეტევა, თორემ, მერე მისი ნეიტრალიზება შეუძლებელი იქნება...

იქნებ დაფიქრება სჯობს?!

პატივცემულო მკითხველო! ცოტა ხნით მივიპყრობ თქვენს ყურადღებას და ცურვაზე გესაუბრებით. იქნებ იფიქროთ, რა დროს ცურვაა, როცა ამდენი პრობლემა და მოსაგვარებელი საქმე გვაქვსო!

სწორი ბრძანდებით, მაგრამ მაინც გავბედავთ და ორიოდე წუთს წაგართმევთ.

1990 წლის 23 დეკემბერს გაზეთ „ლელოში“ დაიბეჭდა წერილი სათაურით „იქნებ გაცლა სჯობს?“. მოვიყვან რამოდენიმე ნაწყვეტს:

„ცურვა ვერ იქცა ქართული სპორტის ეროვნული ნიშნის მატარებელ სახეობად (ლაპარაკია დიდ სპორტზე), ისედაც ცოტა ჩვენი საცურაო აუზები მთლიანად დავუთმოთ ხალხს, განსაკუთრებით ბავშვებს, მივხედოთ ერის ჯანმრთელობას...

ცურვაში საკავშირო შეჯიბრებებისათვის ნაკრები გუნდების მოსამზადებლად გამოყოფილი ბიუჯეტის სახსრები მოვახმაროთ სხვა სპორტის უფრო დაწინაურებას“.

უხერხულადაც კი მეჩვენება იმის შეხსენება, თუ რა ადგილი უჭირავს ცურვას თანამედროვე სპორტში. ჩვენ კი სპორტული ჯგუფებისა და ნაკრები გუნდებისათვის გამოყოფილი სახსრების შეკვეცას და სპორტის სხვა სახეობებისათვის გადაცემას გვთავაზობენ! ეს გამოსავალია?! და განა სპორტულ ჯგუფებში, სადაც ცურვა უფასოა, ჩვენი შვილები არ ვარჯიშობენ? მინდა ვკითხო ჩემთვის საყვარელ გაზეთის რედაქციას — განა საქართველოში ცურვის ახლანდელი მდგომარეობა უფლებას გვაძლევს, უარვყოთ პროფესიული სპორტი და საქართველოს დავუკარგოთ იმედი, რომ მომავალში ჩვენს ქვეყანას ეყოლება ევროპის, მსოფლიოსა თუ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები. განა შეგვეფერება გულხელი დავიკრიფოთ, შევეგუოთ სიტუაცია და ვთქვათ, რომ „ცურვა ჩვენი საქმე არ არის!“.

არა და არა! მჯერა, რომ საქართველოს ეყოლება კარგი მოცურავეები და რომ ცურვა ჩვენში იქცევა, უნდა იქცეს ეროვნული ნიშნის მატარებელ სახეობად!

თინათინ ლეკვეიშვილი,
8.01.91 წ.

რედაქციისაგან: ქალბატონ თინა ლეკვეიშვილს, ეჭვი არ გვეპარება, გული შეტკივა სპორტის ამ სახეობაზე, რომელსაც მან აწალგაზრდობის წლები დაუთმო. სამწუხაროდ, გაოცებულნი დავრჩით, როცა რედაქციაში გამოგზავნილ წერილში „ლელოდან“ მოხმობილი ციტირება დამახინჯებულია, რითაც ავტორს სურს, დააბნიოს მკითხველი და გამოიწვიოს თანაგრძნობა. იძულებული ვართ, ხელახლა მოვიტანოთ ის ადგილი „ლელოს“ პუბლიკაციიდან (თეთრი შრიფტით აწყობილია ტექსტი, რომელიც თ. ლეკვეიშვილმა ციტირებისას გამოტოვა): „ცურვა ვერ იქცა ეროვნული ნიშნის მატარებელ სახეობად, **ნუღარ გადავყრით სახსრებს, დაუყოვნებლივ გამოვეყოთ საკავშირო ფედერაციას,** ისედაც ცოტა ჩვენი საცურაო აუზები მთლიანად დავუთმოთ ხალხს, განსაკუთრებით ბავშვებს, მივხედოთ ერის ჯანმრთელობას... ცურვაში საკავშირო შეჯიბრებებისათვის ნაკრები გუნდების მოსამზადებლად გამოყოფილი ბიუჯეტის სახსრები მოვახმაროთ სხვა სპორტის უფრო დაწინაურებას, **სადაც საერთაშორისო სარბიელზე საამაყო შედეგები გვაქვს**“ (იხ. „ლელო“, 23 დეკემბერი, 1990 წ.) და კიდევ ერთი: არსად, არასდროს დაგვიწერია, რომ „ცურვა ჩვენი საქმე არ არის!“

ქალბატონ თინას მადლობას მოვახსენებთ გამოხმაურებისათვის და მას, როგორც ცურვის რესპუბლიკური ფედერაციის ახალ თავმჯდომარეს, ვთხოვთ, გვიპასუხოს ოთხ შეკითხვაზე:

1. რამდენი მწვრთნელი მუშაობს სულ საქართველოში ცურვაში და მათ შორის რამდენი ემსახურება სპორტსმენთა აღზრდას?
2. ბოლო 20 წლის მანძილზე რამდენი ქართველი მოცურავე გახდა მსოფლიო, ევროპის, ოლიმპიური და კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი და პრიზიორი?
3. რა თანხები დაიხარჯა 1988 წელს ცურვის, როგორც სპორტის სახეობის განვითარებისათვის და როგორია უკუგება (დავითვალოთ სპორტული სკოლების, სპორტული ჯგუფების, შეკრებების, შეჯიბრებებისათვის გაღებული ხარჯები);
4. ვინ და რის საფუძველზე იძლევა იმის გარანტიას, რომ „მომავალში ჩვენს ქვეყანას ეყოლება ევროპის, მსოფლიოსა თუ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი?“

ამ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ, იქნებ მართლა ღირდეს დაფიქრება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დარდიმანდი“, რომელიც აღწერა კონსტანტინე გამსახურდიამ

ქართული ცხენთგამოცდების ისტორიამ არაერთი ბედაურის სახელი შემოინახა. ერთ-ერთი მათგანია საქართველოს 1928 წლის დიდი პრიზის — დერბის (2400 მ.) მფლობელი „დარდიმანდი“.

ეს წითური, სწორუპოვარი ბედაური ეკუთვნოდა მუხროვანის 74-ე ცხენსაშენს. „დარდიმანდი“ „უაიტ-სტარისა“ და „ლეილას“ შვილი გახლდათ. „უაიტ-სტარი“ საკმაოდ ცნობილი ულაყ-მწარმოებელი იყო.

სანამ უშუალოდ „დარდიმანდზე“ გიამბობდეთ, გვინდა გავიხსენოთ სასიქადულო ქართველი მწერლის ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას უკვდავი რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“. აი, როგორ იწყება ნაწარმოების პროლოგი: „დასვენების დღეს, როცა ტფილისელები კომფორტაბელური ავტოებით მიემგზავრებიან ქალაქგარეთ, ჩვეულებისამებრ, იპოდრომზე მივდივარ ხოლმე. დოღის სეზონი მოთავებულია და ნასუქალ ულაყებს არას ავნებს საქართველოს სამხედრო გზაზე გაჯირითება. იპოდრომზე კარგად იციან ჩემი გარდაუვალი ვნება ცხენოსნობისადმი“.

მწერლის მიერ დასახელებული იპოდრომი ძველი, დიდუბის საასპარეზოა. იგი ჯერ მეცხრამეტე საუკუნეში ამოქმედდა, ხელმეორედ კი აღდგა 1922 წლს. დიდუბის იპოდრომზე თავს იყრიდნენ როგორც ქართველი, ისე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული საუკეთესო მხედრები და ბედაურები.

მივყვეთ რომანის პროლოგს. მწერალი გვამცნობს, რომ საქართველოს სამხედრო გზაზე გასასვლელად მან საუკეთესო ბედაური — „დარდიმანდი“ აირჩია. მწერლის სიყვარული წმინდა სისხლის ამ ბედაურისადმი განსაკუთრებულად საყურადღებოა:

„ვეფერები „დარდიმანდს“, თელის ფოთლისებრ პაწია ყურებზე, ქლიავისფერ თვალებში შევსცქერი და ჩემს სულში გადმოდის ის მოულალავი ძალმოსილება, ცხოველისადმი ასე ჰარბად რომ მოუცია დედაბუნებას“.

აქვე გვინდა თვალი გადავავლოთ 1928 წლის ცხენთგამოცდების ისტორიას. მწერალი ახლოს იცნობდა ტფილისის (დიდუბის) იპოდრომის ცხოვრებას. იგი ხომ მისი ხშირი სტუმარი იყო.

და მართლაც, ქართული ცხენთგამოცდების ისტორია იცნობს [illegible] უნაკლო ექსტერიერის ბედაურს — საქართველოს 1928 წლის დიდი პრიზის, დერბის მფლობელს — „დარდიმანდს“.

ჩვენ ხელთა გვაქვს უტყუარი ცნობები 1928 წელს დიდუბის იპოდრომზე გათამაშებული პრიზებისა. აღნიშნული წლის 13 მაისი კვირა გახლდათ, ცხენთგამოცდის სეზონის მეორე დღე. ამ დღეს დიდუბის იპოდრომზე ჩატარებულა რვა დოღი. მეექვსე დოღში 3000 მეტრზე გათამაშებულა რესპუბლიკის ჯილდო, რომელიც დაუსაკუთრებია აზერბაიჯანის „საგიტერს“.

მეხუთე დოღში ერთ-ერთი პრიზის გათამაშებისას, მონაწილეობა მიუღია ჩვენთვის საინტერესო ბედაურს მუხროვანის ცხენსაშენიდან „დარდიმანდს“. ჩვენი მერნის მეტოქეები ყოფილან სამხრეთ ოსეთიდან „ბაირაგი“ და „ჯამბო“.

1500 მეტრზე დოღში ჯილდოდ 100 მანეთი დაუწესებიათ. ფინიშის ხაზი პირველად გადაუკვეთია „დარდიმანდს“, დისტანცია დაუსრულებია 1 წუთსა და 42 წამში.

და აი; 1928 წლის 20 მაისს დიდუბის იპოდრომზე გათამაშდა სეზონის დიდი პრიზი — საქართველოს დერბი სამწლიან წმინდა სისხლის ულაყებს შორის. ეს გახლდათ დოღის სეზონის მეხუთე დღე. მშვენიერმა სანახაობამ დიდუბის იპოდრომზე დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. ამ დღეს ხუთი დოღი ჩატარებულა. მაყურებელთა მთავარი ყურადღება მეხუთე დოღზე იყო მიპყრობილი, სადაც დერბი თამაშდებოდა 2400 მეტრ მანძილზე.

გამარჯვებული მხედარი 1000 მანეთს მიიღებდა ჯილდოდ.

საქართველოს (მუხროვანის) საჯინიბოდან ამ დოღში მეტოქეებად გამოვიდნენ „დარდიმანდი“ და „დარდიანი“. სამხრეთ ოსეთიდან მათი მოცილე გახლდათ „უატი“, ხოლო აზერბაიჯანიდან — „მერი-გრი“. სტარტიდანვე დაწინაურებულან „დარდიმანდი“ და „დარდიანი“. მეოთხე მოსახვევიდან „დარდიმანდს“ ოდნავ წინ უსწრებდა „დარდიანი“. ფინიშამდე ოცდაათიოდე მეტრი რჩებოდა. „დარდიმანდმა“ არაჩვეულებრივი სიჩქარე განავითარა და პირველმა გადაკვეთა კიდეც ფინიშის ხაზი. „დარდიმანდმა“ 2400 მეტრის გავლას მოანდომა 2 წუთი და 46 წამი. მაშ, 1928 წლის საქართველოს დიდი პრიზის (დერბის) მფლობელია მუხროვანის ცხენსაშენის ბედაური „დარდიმანდი“ — ასეა ფიქსირებული დოკუმენტებში.

„დარდიმანდის“ შესახებ ჩვენ 1929 წლის ცნობაც მოგვეპოვება. ამ დროს იგი ოთხი წლის გახლდათ. 1928 წლის 5 მაისს მონაწილეობა მიუღია მეხუთე დოღში (არ ჩანს, რა პრიზი იყო გათამაშებული). მისი მეტოქენი ყოფილან „ლომისთვალი“ და ექიმ გიგი ელიავას ცხენი „ინფანტა“. გათამაშდა 400-მანეთიანი ჯილდო 1600 მეტრზე დოღში. ფინიშისათვის ბრძოლა გაჩაღებულა „დარდიმანდსა“ და „ლომისთვალს“ შორის. „დარდიმანდმა“ ერთი კორპუსით მოასწრო მეტოქეს ფინიშთან. მასზე მხედარი შმელიოვი მჯდარა. დრო—1 წუთი და 50 წამი.

და კიდევ ერთი ცნობა, იმავე „დარდიმანდს“ რომ შეეხება. ეს ცნობა 1929 წლის 19 მაისითაა დათარიღებული. 1600 მეტრზე მორიგი პრიზი „დარდიმანდს“ მოუგია 1 წუთსა და 45 წამში.

ჩვენი ვარაუდით, მწერალი კონსტანტინე გამსახურდია სწორედ ამ „დარდიმანდს“ ეხება. აკი ამბობს „დიდოსტატის მარჯვენის“ პროლოგში: „უწინაც ვმჯდარვარ „დარდიმანდზე“, იგი საქართველოს ჩემპიონია წმინდასისხლიან ულაყთა შორის, მრავალი დიდი ქალაქის იპოდრომზე უსახელებია ჩვენი ქვეყანა, ამიტომაც, მოკრძალებულად ვექცევი“. მწერლის სიმპათია გასაგებია — ქართული ცხენთგამოცდების ისტორია იცნობს სწორედ 1928 წლის საქართველოს ჩემპიონს, დიდი პრიზის (დერბის) მფლობელს „დარდიმანდს“, „...ცხენთა შორის უსაჩინოესს“, და არა სხვას რომელიმეს.

ერთი შტრიხიც მაგონდება. 1959 წლის მაისში დელისში საზეიმოდ გაიხსნა ახალი იპოდრომი. ცხენოსნურმა სანახაობამ უამრავი მაყურებელი მიიზიდა. შეჯიბრების დასასრულს, საკუთარი თვალით მინახავს იპოდრომიდან მომავალი ბატონი კონსტანტინე გამსახურდია, მეგრულად შთაბეჭდილებებს რომ უზიარებდა ქართული ცხენოსნური სპორტის პატრიარქს საშა დარასელიას.

თამაზ ქიქავა

Победители Бол. Трехлетнего (б. Дерби) и приза Республики

Призы	Год	Имя лошади	Масть, пол возраст	Отец	Мать	Владелец	Жокей	Дистанция	Резвость	2-я лошадь
ол. Трехлетний (б. Дерби)	1926	Моссо	гн. к. 3 л.	Мотив	Сурчина	Госкон.- Юго-Осетии	Ш. Казум-оглы	2400м.	2 м. 58 с.	Шашарка
	1927	Берген	р. ж. 3 л.	Бек	Гленрод	НКЗ ССР Грузии	К. Гудиев	„	2 м. 46 с.	Роланд XIV
	1928	Дардиманди	р. ж. 3 л.	Уайт-Стар	Лейла	НКЗ ССР Грузии	Р. Мамедов	„	2 м. 46 с.	Дардиани
	1929	Дур-дур	т.-гн. ж. 3 л.	Грей-Бой	Валькирия	НКЗ Юго-Осетии	Ш. Казум-оглы	„	2 м. 44 с.	Домис-Твали
	1930	Герой	гн. ж. 3 л.	Бранси	Гризет	НКЗ ССР Грузии	Т. Чабан	„	2 м. 48 с.	Искра
	1931	Лажварди	р. ж. 3 л.	Уайт-Стар	Лейла	Закконеводтрест	Т. Чабан	„	2 м. 48 с.	Наймит
	1932	Гудок	т.-гн. ж. 3 л.	Дарлингтон	Гверилья	Закконеводтрест	А. Хаиндрава	„	2 м. 38 с.	Град

გაიცანით: სნოუბორდი!

საქართველოში ამ ბოლო დროს ფეხი მოიკიდა სპორტის რამდენიმე ახალმა სახეობამ: კეტბურთმა, მკლავჭიდმა, ათლეტიზმმა...

ერთი მათგანი — სნოუბორდი ახალი ხილია საქართველოსთვის, თუმცა... არა ქართველი კაცისთვის: სპორტის ამ სახეობითაა გატაცებული ესპანეთში მცხოვრები საქართველოს მეფეთა შთამომავალი, უფლისწული ირაკლი ბაგრატიონი — მან იასპარეზა დანიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ეტაპზე, სადაც მე-11 ადგილი დაიკავა.

სპორტის ამ სახეობის პიონერები იყვნენ სერფინგის აღიარებული ოსტატი ჯეიკ ბარტონ კარპენტერი და მსოფლიო ჩემპიონი სქეითბორდში ტომ სიმსი. უფრო ადრე კი, 60-იან წლებში, ამერიკელმა შერვინ პოპერმა სცადა შეერწყა ტალღებზე ცურვის მძაფრი განცდა ციგურებით სრიალით მოგვრილი სიამოვნებისათვის. მან შექმნა სნოუბორდის წინამორბედი — „სნურფერი“ — ტალღებზე საცურაო პლასტიკური დაფა, რომელმაც ზამთრის სპორტში რევოლუცია ვერ მოახდინა, თუმცა პოპერმა მაინც შეძლო დაახლოებით მილიონი ცალი სნურფერი გაეყიდა ერთ წელიწადში.

სნოუბორდის აღიარების ჟამი ოცი წლის შემდეგ დადგა, როდესაც კალიფორნიელმა ჯეიკ ბარტონ კარპენტერმა შექმნა პირველი ნამდვილი სნოუბორდი, რომელსაც ბექპილი უწოდა. ბარტონთან ერთად შემდეგ მუშაობა დაიწყო ტომ სიმსმა და მათ შექმნეს კიდეც სრულყოფილი სნოუბორდი.

ამერიკული ჟურნალი „ო' ნეილი“ წერდა: „მსოფლიოს 60-მდე ფაბრიკა გვთავაზობს 100 სხვადასხვა სახის სნოუბორდს! კარგია ეს თუ ცუდი, არავინ იცის, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ამ გასართობისადმი დიდი ლტოლვაა და გზაც მონახულია. ვისაც სურს ზამთრობით ნამდვილი საქმე აკეთოს, ისინი მისდევენ სნოუბორდს“.

სნოუბორდის ენთუზიასტები საქართველოშიც გამოჩნდნენ. ისინი ერთი წლის წინ ეზიარნენ სპორტის ამ სახეობას გუდაურის სათხილამურო ტრასებზე. უკვე გაჩნდა იდეა საქართველოს სათხილამურო ფედერაციასთან სნოუბორდის ფედერაციის ჩამოყალიბებისა. გზა დავულოცოთ სნოუბორდის ქართველ მოყვარულებს, რომელთაც, იმედია, მრავალი მიმდევარი გამოუჩნდებათ და სპორტის ეს სახეობაც დამკვიდრდება ჩვენში.

დავით კლდიაშვილი

ალექსანდრ დიუმა და კრივი

XVIII საუკუნეში საფრანგეთის პროვინციებში გავრცელდა კრივის სახეობა, სახელდებულ რომ იქნა ვითარ „ფრანგული კრივი“. ამ წესით მოკრივეებს უფლება აქვთ იხმარონ ფეხიც. ისინი მოპირისპირეს ფეხის წვერებს უშენენ სხეულის არეზე და მიერეკებიან რინგის კუთხეებისაკენ, რათა იქ აწვნიონ ნოკაუტი.

საფრანგეთში ფრანგული კრივი პოპულარული გახადა კომუნარმა ჟოზეფ შარლემონმა, რომელიც კომუნის დამარცხების მერმე გაიქცა ბელგიაში. იქ მან გახსნა სკოლა „ფრანგული კრივისა“, პარიზში დაბრუნების შემდგომ კი ჩამოაყალიბა „ფრანგული კრივის აკადემია“, რომელმაც იარსება 1944 წლამდე.

კრივის ამ სახეობას XIX საუკუნეში მისდევდა ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრ დიუმა.

სურათზე იგი გამოსახულია ქართული ჩოხით. საქართველოში ყოფნისას დიუმას ძალზე მოსწონებია ქართული ჩოხა, შარვალი და ქამარ-ხანჯალი. მას გადაუწყვეტია, სამშობლოში რომ დაბრუნდებოდა, შეეკერა ქართული ტანსაცმელი, მაგრამ ეს რომ შეუტყვია ერთ ქართველ თავადს, მყის უჩუქებია საკუთარი ჩოხა, შარვალი და ქამარხანჯალი ვაჟკაცური სულის და ვაჟკაცური აგებულების ფრანგი მწერლისათვის.

ალექსანდრ დიუმას რაინდულ ხასიათს, უთუოდ ამშვენებს მისი გატაცება კრივით.

კრივის ფენომენს კი, რაღა თქმა უნდა, დიდ ღირსებას სძენს ის ფაქტი, რომ მის წიაღში მიმოძრაობდა და ტყავის ხელთათმანის ოსტატობას ესწრაფვოდა კალმის ისეთი დიდოსტატი, როგორიც გახლდათ ალექსანდრ დიუმა.

ედიშერ ბიორბაძე,
საქართველოს კრივის ფედერაციის პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე.

ქართული სპორტული თამაშები საეკლესიო დღესასწაულებზე

„ძველად (შობა-დღეს, — ა. ც.), როცა ჩვენებს ასეთი გასართობი არა ჰქონდათ-რა, როგორც თეატრი და ოპერა, ცირკი და კონცერტები, სხვაფრივ ატარებდნენ დროს. არც მაშინდელი დროს ტარება იყო ცარიელი ლოთობა და ჯიხვების ტრიალი და ჯახა-ჯუხი, ბურთი, ჯირითი, ცხენის ჭენება, ყაბახი და აპა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი.

ცხენთა მათთა ნატერფალნი
მზესა შუქთა წაუხმიდეს.

* * *

შეიცვალა დრო, შეიცვალა გართობა და ეხლა სულ სხვასა ვხედავთ“.

არ ახალია — ძველია, „ივერია“, 1886, 25.12, № 280, გვ. 1-2.

• • •

„...ქართველს დღესასწაული მარტო ლოცვისა და ვედრებისათვის არ უნდა, „დღეობა“, „ხატობა“ სალხინოდ, საქეიფოდ, დროს გასატარებლად მიაჩნია...

ხატობასა და დღეობებში თუ ნახავს კაცი ჩვენს საეროვნო ჩვეულებას და ვარჯიშს, მაგ., ცეკვას, ბურთაობას, ჯირითს, ჭიდაობას და სხ. აქვე ცილობენ და ჯიბრობენ მემუსიკენი, მეშაირენი, მომღერალნი, და როცა ამ სიცოცხლით სავსეს, საეროვნო სურათს აკვირდები, მახსოვრობა უნებურად გაგონებს ძველ საბერძნეთის ცხოვრებას, სადაც თვით ღმერთებიც კაცნი იყვნენ და ქვეყნად მოღვაწეობდნენ...

ახლა სადღაა მაგ., სააღდგომო ყაბახი, ეს საამო სანახავი და სავაჟკაცო მოედანი... დიაღ, ბატონებო, დრონი იცვალნენ და ტფილისიც შეიცვალა“.

ნიკო ხიზანიშვილი, მასლაათი, „ივერია“, 1894, 17.4, № 82, გვ. 1-3.

* * *

„ამ დღისთვის (თევდორობის დღესასწაულზე) მოდის ხოლმე დიდძალი ხალხი სალოცავად ჯავახეთიდან და აგრეთვე ახალციხის მაზრის სოფლებიდგან. დღესასწაულ დღეს წირვის შემდეგ, გაჩაღდება ჯირითობა, ჭიდაობა და სხვა ადგილობრივი თამაშები“.

კორესპონდენცია ახალციხიდან „დროება“, 1885, № 41, 22.2, გვ. 2.

კვლავ განზილება გველოდა

ჭალაში, გორის ამ ახალ უბანში, ქალაქის აღმასკომის ინიციატივით ორი წლის წინ დაიწყო სპორტული დარბაზის მშენებლობა. პირველ ხანებში სამუშაოები ისეთი „ხმაურით“ წარიმართა, რომ მის დასრულებას 1989 წლისათვის მოელოდა სპორტული მოედნებითა და ბაზებით არც თუ განებივრებული აქაური ახალგაზრდობა, მაგრამ...

გაჭიანურებულ მშენებლობას შარშან „ლელოში“ დაბეჭდილი წერილით გამოვეხმაურეთ — კონკრეტული ფაქტების მოშველიებით აღვნიშნავდით, რომ სპორტული დარბაზის შენება შეუწყნარებლად დაბალ ტემპში, მართლაც კუს ნაბიჯებით მიმდინარეობდა.

მას შემდეგ თვეები გავიდა. ერთხელ კიდევ ვეწვიეთ მშენებარე დარბაზს იმის იმედით, რომ წინწაწეულ საქმეს ვნახავდით, მაგრამ კვლავ გაწბილება გველოდა — სასიკეთო ცვლილება არ იგრძნობოდა. სამუშაოთა მწარმოებელმა ალ. გუძიევმა გვითხრა, ცოტა რამ კი გაკეთდა, მაგრამ ეს საქმეს რას უშველისო.

ერთი სიტყვით, მშენებარე სპორტდარბაზი ამჟამად ხელაღებულ და უპატრონოდ მიტოვებულ ობიექტს უფრო წააგავს, რომელსაც დარაჯიც კი არ ჰყავს. ასე რომ, მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა და თუ საქართველოს სპორტსაჯკომის მეოთხე სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელები რაიმეს არ იღონებენ, კიდევ კარგა ხანი დასჭირდება მის დასრულებას. სამუშაოთა მწარმოებელი ირწმუნება, ხელშეწყობის შემთხვევაში ჩემზე დაკისრებულ საქმეს ორ თვეში მოვათავებთო. რუსეთის ერთ-ერთ ასანთის ქარხანას რა ჩანია გადაერიცხა თანხა საიატაკე ფიცრისათვის, მაგრამ არც ისინი ჩქარობენ მის გამოგზავნას [illegible] აქაურები იწუხებენ თავს, რომ ადგილზე ჩააკეთონო...

მშენებლობის ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობა იქამდეც მივიდა, რის გაკეთებაც შეუძლიათ, იმასაც არ აკეთებენ. მაგალითად, მოუწესრიგებელია ეზო, სადაც უნდა ჩაიწყოს წყალსადენის, კანალიზაციის, გაზგაყვანილობის მილები. ასფალტის დაგებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ახლა, როდესაც მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა გადაუდებელ საქმედ დავისახეთ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპორტული ბაზების მზადყოფნას. სწორედ ამიტომაა ასე შეუწყნარებელი ჭალის სპორტული დარბაზის გაჭიანურებული მშენებლობა.

ილია თევდორაშვილი,
„ლელოს“ კორ.

წინადადება!

სუპერთასი: „იბერია“ – „გურია“

მრავალ ქვეყანაში საფეხბურთო სეზონის დასაწყისში იმართება მატჩი ქვეყნის ჩემპიონსა და თასის მფლობელს შორის. ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნება, თუ 1991 წლის საქართველოს ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გაიმართება შეხვედრა საქართველოს შარშანდელ ჩემპიონ თბილისის „იბერიასა“ და თასის მფლობელ ლანჩხუთის „გურიას“ შორის. ამ მატჩით ერთგვარად სეზონიც გაიხსნება და არც მაყურებელი დარჩება გულგრილი შეხვედრის მიმართ.

თამაში უფრო დაძაბულად ჩაივლის, თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გამარჯვებულისათვის ფულად ჯილდოს დააწესებს.

ბათუმელი ფეხბურთის გულშემატკივრების სახელით: ა. დუმბაძე, ბ. ჯაფარიძე, რ. ათაბაძე, მ. ჯიხაძე, ვ. თავართქილაძე, რ. ჯიჯავაძე...

სიტყვა თქვენზეა, კომპოზიტორებო!

ფეხბურთის მილიონობით გულშემატკივარი იცნობს ი. ბლანტერის საფეხბურთო მარშს, რომელიც მან ომის დამთავრების შემდეგ შექმნა.

ეს მარში, მოგეხსენებათ, საბჭოთა ფეხბურთის ჰიმნად იქცა, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს კი იგი აღარ არგია და აკი, აღარც ისმის ჩვენს სტადიონებზე. მართალია, საფეხბურთო მარში სავალდებულო არ არის, მრავალ სახელმწიფოში იგი საერთოდ არა აქვთ, მაგრამ ჩვენ შეჩვეულნი ვართ მას და კარგი იქნება, თუ მომავალ ეროვნულ ჩემპიონატს ეროვნული საფეხბურთო მარშით დავიწყებთ. ვფიქრობ, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული მარში სპორტსმენთა ბრძოლისუნარიანობასაც აამაღლებს და მაყურებელსაც ასიამოვნებს.

ასე რომ, სიტყვა თქვენზეა, კომპოზიტორებო!..

ხ. ნიშნიანიძე,
შრომის ვეტერანი.

* * *

ჟურნალისტის დებიუტი

გოლეადორი „ოკრიბიდან“

ტყიბულის „ოკრიბის“ კაპიტანი გია ფანჩულიძე 29 წლისაა, ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი. იგი გულ ღია, გულწრფელი მოსაუბრე და თავმდაბალი ადამიანია. 1990 წლის სეზონში გიამ 40 გოლი გაიტანა და მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის გუნდის საერთო გამარჯვებაში. როგორც ცნობილია, ტყიბულის „ოკრიბა“ ეროვნული ჩემპიონატის I ლიგაში ითამაშებს 1991 წლის საფეხბურთო სეზონში.

● **გია, გილოცავთ ცენტრალური ზონის ბომბარდირობას.**

— დიდი მადლობა!

● **სპორტს ყველა თავისი გზით, მაგრამ რაღაცისა ან ვიღაცის გამო უკავშირდება. თქვენ როგორ ეზიარეთ ფეხბურთს?**

— ფეხბურთი მამაჩემმა შემაყვარა, პატარაობიდან ვთამაშობ. პირველი მწვრთნელები იყვნენ თემურ კოხრეიძე და მურად წივწივაძე.

● **ცხადია, ბურთის გატანა დიდი სიხარულია, განსაკუთრებით როდის გამოხატავთ აღტაცებას?**

— როცა გოლი პრინციპულ თამაშში გამაქვს.

● **თქვენი აზრით, რა არის საჭირო, რომ ფეხბურთით გატაცებული ახალგაზრდა მაღალი კლასის სპორტსმენი გახდეს?**

— შრომა და მხოლოდ შრომა — ეს არის მთავარი. ამავე დროს, უნდა იყო კეთილსინდისიერი პროფესიონალი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მწვრთნელს. მწვრთნელობაც ხომ ნიჭია.

● **როგორი საფეხბურთო ცხოვრების გზა გაიარეთ?**

— თამაში დავიწყე თერჯოლის „ენერგეტიკოსში“, ახლანდელ „საპოვნელაში“, 1977 წელს. მერე ვითამაშე ქუთაისის „ტორპედოში“, ისევ „ენერგეტიკოსში“, შემდეგ, 1990 წლის სეზონიდან — კვლავ „ოკრიბაში“.

● **სულ რამდენი გოლი გექნებათ გატანილი?**

— ჩემი სათვალავით, ორასამდე. ადრე ჩვენთვის საერთოდ ვერავინ იცლიდა — გოლებს არავინ ითვლიდა, არც ბეჭდავდა. 1990 წელს ასეთი სტატისტიკა ქვეყნდებოდა, რაც მისასალმებელია.

● **თქვენი საფეხბურთო ცხოვრებიდან ხომ არ გაიხსენებდით თითო ეპიზოდს — სასიხარულოს და კურიოზულს?**

— სასიხარულოა, რომ წელს გავხდით მეორე ჯგუფის ცენტრალური ზონის ჩემპიონები. გალაღდნენ ჩვენი გულშემატკივრები. კურიოზული? — ერთხელ ვთამაშობდით გორის „დილასთან“. მაშინ ტყიბულის „მეშახტეში“ გამოვდიოდი, ახლანდელ „ოკრიბაში“. 1986 წელი იყო თუ 1987, ზუსტად აღარ მახსოვს. ჩემი პარტნიორის მიერ ჩამოწოდებული ბურთი მეტოქის კარში გავიტანე იმ მომენტში, როცა მეკარე და მცველი დამეჯახნენ და დავეცი. ჩემიანები მომცვივდნენ, გოლის გატანას მილოცავდნენ. მერეღა გავიგე, თურმე ბურთი ზურგზე მომხვდა და ისე გავიდა კარში. ის შეხვედრა ამ ერთადერთი გოლის წყალობით მოვიგეთ.

● **როგორი ურთიერთობა გაქვთ მსაჯებთან?**

— კარგი. 1990 წელს, რა თქმა უნდა, უკეთესი მსაჯობა იყო. ყვითელი ბარათი ერთხელ მიჩვენეს, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს გამონაკლისია, წითელი ბარათი კი არასოდეს დამიმსახურებია.

● **გასულ საფეხბურთო სეზონს, როგორც ფეხბურთელი და გუნდის კაპიტანი, როგორ შეაფასებდით?**

— დასაწყისში, ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდა, დავკარგეთ რამდენიმე ქულა და ლიდერებს ჩამოვრჩით. პირველი წრის მეორე ნახევრიდან მდგომარეობა გამოვასწორეთ, გადავინაცვლეთ პირველ ადგილზე და ამის შემდეგ სეზონის ბოლომდე ვლიდერობდით.

● **როგორია ურთიერთობა ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს შორის თქვენს გუნდში?**

— კარგი. სხვაგვარად, ცხადია, წარმატებას ვერ მივაღწევდით.

● **პირველ ლიგაში გადასვლასთან დაკავშირებით, როგორია თქვენი გუნდის გეგმები?**

— მოკლედ ვიტყვი — გულშემატკივრები არ უნდა გავაწბილოთ.

● **ფეხბურთის გარდა რა გიტაცებთ?**

— მიყვარს ნადირობა, თევზაობა; ვკითხულობ პრესას, მხატვრულ ლიტერატურას.

● **რომელი გოლი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად იმ 40-დან?**

— ის, რომელიც შინ, ახალციხის „მესხეთთან“ გავიტანე. ანგარიში იყო 1:1, 35-40 მეტრიდან დავარტყი საჯარიმო და, ფეხბურთის ენით რომ ვთქვათ, ბურთი „ცხრიანში“ გავიდა.

● **როგორ ფიქრობთ, ოსტატობა ასაკთან ერთად მაღლდება თუ ქვეითდება?**

— ფეხბურთელის ოსტატობა ასაკთან ერთად მაღლდება. ისე კი, რა თქმა უნდა, ყველაფერი ფეხბურთელზეა დამოკიდებული.

● **არჩევანი რომ შემოგთავაზონ, რომელ საკლუბო გუნდში ისურვებდით გამოსვლას?**

— არ შემოუთავაზებიათ. ვარ ტყიბულის „ოკრიბაში“ და აქვე ვაგრძელებ თამაშს.

● **ბოლო შეკითხვა. როგორ შეაფასებდით ეროვნულ ჩემპიონატს?**

— დიდი საქმე გაკეთდა. ფეხბურთელებს არ ჰქონდათ მონაცემებისა და ნიჭის სრულად გამოვლენის შესაძლებლობა; ყველა ვერ ხვდებოდა „დინამოში“, ახლა კი გზა ხსნილია — შეგიძლია? ითამაშე. ეროვნული ჩემპიონატი ხელს შეუწყობს მთლიანად ქართული ფეხბურთის განვითარებას.

ესაუბრა ვეფხია სამსონიძე,
მ. კაკაბაძის სახელობის სტუდიის მსმენელი.

სურათზე: გია ფანჩულიძე (მარცხნივ, წინა პლანზე).

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ფეხბურთელია თუ სპრინტერი?

გასაოცარი სისწრაფე აქვს ბუნდესლიგის კლუბ „აინტრაქტის“ (მაინის ფრანკფურტი) განელ თავდამსხმელს ანტონი იებოას. იგი 100 მეტრს 11,1 წამში ფარავს.

როგორ თამაშობს კემპესი?

განთქმული არგენტინელი ფეხბურთელი მარიო კემპესი, რომელმაც თავი განსაკუთრებით გამოიჩინა 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც არგენტინელებმა ოქროს მედლები მოიპოვეს, ბოლო წლებში სპორტულმა ბედმა ავსტრიაში გადაისროლა. იგი 36 წლისაა, მაგრამ სულაც არ აპირებს საფეხბურთო კარიერის დასრულებას. ამჯერად არგენტინელი „კრემსერ შპორტკლუბში“ გამოდის და ავსტრიელი მიმომხილველების აზრით, საკმაოდ კარგადაც თამაშობს.

სულ 10 წუთი, მაგრამ...

ავსტრიული კლუბის „სშვ ალპინის“ ფეხბურთელმა სკრივანეკმა მართლაც ძალიან იყოჩაღა — იგი ავსტრიის თასის გათამაშების ერთ-ერთ მატჩში მინდორზე მხოლოდ მე-80 წუთზე გამოვიდა და... 10 წუთში 3 ბურთი გაიტანა.

სწორედ ის შიავიო

ბოლონიაში 84 წლის ასაკში გარდაიცვალა მსოფლიო ჩემპიონი ანჯელო შიავიო, „სკუადრა აძურას“ იმ შემადგენლობის წევრი, რომელმაც 1934 წელს მსოფლიო პირველობა მოიპოვა.

ჩეხოსლოვაკიელებთან ფინალურ მატჩში შიავიომ გაიტანა გადამწყვეტი ბურთი, რომელმაც მის გუნდს ოქროს მედლები მოუტანა.

გადაწყვიტა, შეიძინოს... „ტოტენჰემი“

ალბათ არ არსებობს ფეხბურთის მოყვარული, ლონდონის პოპულარულ კლუბ „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ სახელი რომ არ სმენოდეს. და აი, ამ გუნდს მძიმე დღეები დაუდგა — მას აშკარა ფინანსური კრიზისი დაეწყო. ასეთ პირობებში გუნდის შეძენა გადაწყვიტა ფინანსურმა მაგნატმა, ინგლისში არცთუ კარგი რუპუტაციის მქონე მილიონერმა რობერტ მაქსუელმა. მან ლონდონის კლუბის დირექტორატს 12 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა.

როგორც თავის დროზე პლატინი...

როცა გერმანელი ფეხბურთელი ჰესლერი ტურინის „იუვენტუსში“ გადავიდა, მას, რა თქმა უნდა, ესმოდა, რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდა ახალ კლუბში. მაგრამ გადის დრო და ჰესლერი სულ უფრო უკეთ თამაშობს.

— თავიდან მე ისეთივე მდგომარეობაში აღმოვჩნდი, როგორც თავის დროზე პლატინი. ყველას ახსოვს, როგორ გაუჭირდა მიშელს „იუვენტუსთან“ შეგუება. [illegible] მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად არის.

მეკარეებს მოამზადებს

როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ განთქმული მეკარე პიტერ შილტონი გამოეთხოვა ინგლისის ნაკრებს, რომლის შემადგენლობაშიც 125 მატჩი ჩაატარა. ეს ისეთი რეკორდია, რომელიც, ეტყობა, კარგა ხნის განმავლობაში გადაულახავი დარჩება.

ახლა შილტონი განაგრძობს თამაშს „დერბი ქაუნთიში“, მაგრამ, როგორც ჩანს, მალე ამ კლუბსაც გამოეთხოვება. ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა გრეჰემ ტეილორმა შილტონს შესთავაზა ნაკრებში დაიწყოს მუშაობა მეკარეების მწვრთნელად.

მხოლოდ მარტში დაბრუნდება

არგენტინელი ფეხბურთელი ბურუჩაგა, მსოფლიოს ორი ჩემპიონატის მონაწილე, მუხლის რთული ოპერაციის შემდეგ მხოლოდ მარტში თუ დაუბრუნდება მინდორს. იგი საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბ „ნანტში“ თამაშობს.

ათი წლის შემდეგ

10 წელი ითამაშა საფრანგეთის კლუბებში („ნანსი“, „მეცი“ და „ლილი“) არგენტინის ნაკრების ყოფილმა მცველმა ფერნანდო ზაპიამ. ახლა 35 წლის ფეხბურთელი სამშობლოში დაბრუნდა და მეორე ლიგის კლუბ „ატლანტასთან“ დადო ხელშეკრულება.

• • •

● **33 წლის** პრებენ ელკიაერი ემშვიდობება ფეხბურთს. საინტერესოა, რომ თავის უკანასკნელ მატჩში, რომელიც მან დანიის ჩემპიონატში ჩაატარა, „ვეილეს“ თავდამსხმელი გააძევეს მინდვრიდან.

● **ცოტამ თუ იცის,** რომ სამხრეთ ამერიკაში ყოველწლიურად ორ საუკეთესო ფეხბურთელს ირჩევენ. ერთი ანკეტით არჩევნებში ყველა სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი ფასდება, მეორეთი კი მხოლოდ ისინი, ვინც ამ კონტინენტზე თამაშობს. სწორედ ამის გამოა, რომ ჩვენს პრესაში გამოქვეყნებული ცნობები ხშირად ურთიერთს ეწინააღმდეგება. 1990 წლის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს არგენტინელი დიეგო მარადონა (I ანკეტით). ეს მისი მეექვსე გამარჯვებაა რეფერენდუმებში.

* * *

ბრაშიანის საიუბილეო გოლი

ფეხბურთის მოყვარულთათვის უდავოდ საინტერესო იქნება, იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატში გატანილი საიუბილეო გოლების ნუსხა. მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილე გუნდებისათვის ყოველი მეასე გოლი იყო საიუბილეოდ მიჩნეული, ასევე იყო საბჭოთა კავშირის ნაკრებისთვისაც. იტალიელებისათვის კი საიუბილეოა ყოველი მეხუთასე გოლი.

ყველაფერი 1929 წლის 6 ოქტომბერს დაიწყო. იმ დღეს „ვალმაურა“ შეხვდა „ტრიესტინას“ და გაიმარჯვა ანგარიშით — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი გაიტანა „ვალმაურას“ თავდამსხმელმა ლუჩანო ვეცანიმ, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც პირველი გოლის ავტორი.

მე-500 გოლი გავიდა 1939 წლის 28 მაისს. „ბარის“ მოთამაშის ვალტერ პეტრონის გოლმა არა მარტო გამარჯვება მოუტანა მის გუნდს „ფილადელფიასთან“ (თამაშში — 2:1), არამედ საიუბილეოც აღმოჩნდა.

ვალენტინო მაცოლას 1949 წლის 30 იანვარს წილად ხვდა ბედნიერება, გამხდარიყო მე-1000 გოლის ავტორი.

1960 წლის 20 ნოემბერს „მენტში“ მოთამაშე უგო ტომეაციმ შეძლო ანგარიში გაეთანაბრებინა „ვიჩენცეს“ წინააღმდეგ და ქულა გადაერჩინა — 1:1; ამასთანავე, ეს გოლი რიგით მე-1500 აღმოჩნდა იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატში.

მე-2000 გოლი, რომელიც პაოლო პულიჩის ეკუთვნის, გავიდა 1975 წლის 30 მარტს.

შარშან, 2 დეკემბერს, იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში, ნეაპოლში, ერთმანეთს ხვდებოდნენ „ნაპოლი“ და „ტორინო“. „ნაპოლი“ იგებდა ანგარიშით 1:0: ბურთი 78-ე წუთზე დიეგო მარადონამ გაიტანა პენალტით. 83-ე წუთზე კი მოხდა ის, რასაც აღფრთოვანებით შეხვდა იტალიის საფეხბურთო სამყარო — „ტორინოს“ მცველმა კრავერომ უძლიერესად დაარტყა, მეკარე გალიმ მოიგერია ბურთი და იქვე მდგომმა ბრაშიანიმ, ფაქტობრივად, ცარიელ კარში გაიტანა ბურთი. ეს გოლი რიგით მე-2500 აღმოჩნდა. მატჩი „ტორინომ“ მაინც წააგო. 89-ე წუთზე ინკოკატის ზუსტმა დარტყმამ გამარჯვება „ნაპოლის“ მოუტანა.

როგორც ვარაუდობენ, მორიგი „დღესასწაული“ დაახლოებით 2005 წლისთვისაა მოსალოდნელი. საინტერესოა, ვინ გახდება მე-3000 გოლის ავტორი.

მოამზადა ლევან ახვლედიანმა,
მ. კაკაბაძის სახელობის სტუდიის მსმენელმა.

დავიხსომოთ ეს გვარები?

შვეიცარიული სისტემით მოეწყო რესპუბლიკური ფესტივალი ჭადრაკში, რომელსაც ამას წინათ სამტრედიის საჭადრაკო კლუბმა უმასპინძლა. მონაწილენი ორ ასაკობრივ ჯგუფში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას, ამასთან, ვაჟები და გოგოები ერთად ასპარეზობდნენ. უმცროს ასაკში ყველას აჯობა ვანის II საშუალო სკოლის მეოთხეკლასელმა, ფრიად პერსპექტიულმა მოჭადრაკემ სოფიკო ასათიანმა, რომელმაც მართლაც საუცხოოდ იასპარეზა — 7 შესაძლებლიდან არც ერთი ქულა არ დაუკარგავს. II-III ადგილები 6-6 ქულით გორელმა მოჭადრაკეებმა — მიხეილ გრიგორიამ და რამაზ ცაციაშვილმა გაიყვეს.

უფროსი ასაკის მოჭადრაკეებში მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელმა ბორის ჩაბრაძემ იმარჯვა (6 ქულა), აქ 5-5 ქულით II-IV ადგილები გაიყვეს ბაადურ ჯობავამ (ვანი), ვალერი ღობელაძემ (ზუგდიდი) და თეა კილაძემ (ოზურგეთი).

როგორც ვანის საჭადრაკო კლუბის დირექტორმა გურამ მაჭავარიანმა აღნიშნა, განსაკუთრებით შთამბეჭდავი და აღსანიშნავია ბაადურ ჯობავას გამოსვლა, რომელმაც ტოლი არ დაუდო უფროს, გამოცდილ მეტოქეებს (იგი ჯერ სკოლაშიც კი არ დადის) და საპრიზო ადგილზე გავიდა. უეჭველია, ამ ნიჭიერ ბავშვს ჯეროვანი ყურადღება და დაკვალიანება სჭირდება, რისთვისაც ახლავე უნდა იზრუნონ ქართული ჭადრაკის ქომაგებმა.

◆

34 წლის „დებიუტანტი“

როგორც ცნობილია, ლეგენდარულმა შვედმა ჩოგბურთელმა ბიორნ ბორგმა 34 წლის ასაკში კორტზე დაბრუნება გადაწყვიტა. პირველი შეჯიბრება, რომელშიც ცდის იგი ძალებს, იქნება იტალიის ღია ჩემპიონატი.

ბორგს ოთხჯერ აქვს მოგებული უიმბლდონის ტურნირი და ექვსჯერ — საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. 1981 წელს მან თავი დაანება სპორტს, მერე ორჯერ (1982 და 1984 წლებში) მცირე ხნით გამოჩნდა კორტზე და ბოლოს ბიზნესს მიჰყო ხელი.

ორი თვის წინ მან ინტენსიური ვარჯიში დაიწყო ლონდონში, მერე კი განაცხადა, რომ აპირებს დიდ ჩოგბურთში „დებიუტს“.

ახალი ტურნირი

აშშ-ში წლეულს პირველად ჩატარდება ცხენოსანთა ჩემპიონატი (უფროსი ასაკის ცხენებისთვის), რომელიც დაიწყება 9 თებერვალს გოლფსტრიმში და დამთავრდება 15 სექტემბერს ბელმონტში. ყოველი დოღის საპრიზო ფონდი 500 ათასი დოლარია.

ამ შეჯიბრების ორგანიზაციის იდეა ეკუთვნის ბერი ვაისბორდს — საცხენოსნო სპორტის მეცენატსა და ენთუზიასტს.

ახლა „პოპ-84“

იუგოსლავიის ქალაქ სპლიტის კალათბურთელთა კლუბმა „იუგოპლასტიკამ“ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით (არსებობის 45 წელი შეუსრულდა) კვლავ შეიცვალა სახელი. ახლა მას დაერქვა „ჰოპ-84“. იუბილარმა კლუბმა ეს თარიღი შინ კონტინენტის ნაკრებთან ამხანაგური მატჩით აღნიშნა. მასპინძლებმა — ევროპის ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელებმა — ბრძოლა ადრიანში მინიმალური სხვაობით დათმეს — 102:104 (39:57).

„ცივილიზაციას“ გაექცა

...იგი საცხოვრებლად მალდივის ერთ-ერთ კუნძულზე დასახლდა ინდოეთის ოკეანის ჩრდილო-დასავლეთში. წავიდა ასე შორს იმისათვის, რომ დროებით მაინც მიეტოვებინა იტალიის ხმაურიანი ქალაქები, ადგილობრივი გულშემატკივრები, რომლებიც ყოველ მის გამოჩენას ქუჩაში აურზაურით ხვდებოდნენ.

იტალიის პროფესიული ველოსპორტის „ვარსკვლავი“ ჯანი ბუნიო ამჟამად 26 წლისაა და თავს ჩინებულ ფორმაში გრძნობს. 1985 წელს მას „იტალიის საუკეთესო მოყვარული ველოსიპედისტის“ ტიტული მიაკუთვნეს. იმავე წელს ბუნიომ თავი მიანება სამოყვარულო სპორტს და პროფესიონალებში გადავიდა.

პროფესიულ ველოსპორტში მისი აღმასვლა მხოლოდ შარშან დაიწყო, როცა სხვადასხვა რბოლაში წარმატებით გამოსვლისათვის უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. არადა, იტალიელებს ფელიჩე ჯიმონდის შემდეგ ნამდვილი საერთაშორისო კლასის „სტაიერი“ არცა ჰყოლიათ. ამიტომ ბუნიოს ბოლო წარმატებებმა იტალიურ ველოსპორტში იმედების ახალი ტალღა ააგორა. 1986 წელს ბუნიოს პროფესიონალთა რეიტინგში 36-ე ადგილი ეკავა, ერთი წლის შემდეგ 28-ე გახდა, 1988 წელს — მეჩვიდმეტე, 1990 წელს კი პირველი. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ბუნიოს „ვარსკვლავი“ ამობრწყინდა „ჯირო დ' იტალიაში“, მილან—სან-რემოს რბოლაში და მსოფლიო თასის გათამაშებაში გამარჯვების შემდეგ. მალდივის კუნძულზე დროებით დასახლება მას ძალების აღსადგენად სჭირდება. ბუნიოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ წლეულს „სუპერ-ჩემპიონი“ გახდეს.

აი, რას ამბობს თვითონ ველოსიპედისტი 1990 წლის სეზონზე: „შარშანდელი შედეგებით კმაყოფილი ვარ. მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, წელი ტრავმის გარეშე დავამთავრე. ბოლოს, რა თქმა უნდა, დავიღალე, მაგრამ ეს გასაგები დაღლაა. პროფესიონალებს სხვა ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვთ, მოყვარულებს კი სულ სხვა“.

სპეციალისტების აზრით, ბუნიო რბოლის დროს პრაქტიკულად არ უშვებს შეცდომებს, ვარჯიშისადმი დამოკიდებულებით კი ნამდვილი პროფესიონალია. შესაძლოა, მას აკლია ტაქტიკური მრავალფეროვნება, მაგრამ იგი იგებს ეტაპებს, რბოლებს და მთავარი სწორედ ეს არის. ბუნიო ყოველ ეტაპზე თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს ავლენს. პროფესიონალს ყველაზე მეტად სწორედ ეს სჭირდება.

ბუნიოს წვრთნას ხელმძღვანელობს პროფესიონალთა კლუბის დირექტორი კლაუდიო კორტი (იგი 1977 წელს მსოფლიო ჩემპიონი იყო მოყვარულთა შორის). აი, რა განაცხადა მან შარშანდელი სეზონის დამთავრების შემდეგ: „ბუნიოს სურს [illegible] ველოსიპედისტი გახდეს, ეს გასაგებია, მაგრამ ამისთვის მან მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს საშუალედო ეტაპების მაქსიმალური სისწრაფით გავლას. ჩვენ ამჟამად სწორედ ამ პრობლემაზე ვმუშაობთ. არსებითი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ველოსიპედზე ჯდომის ტექნიკასა და მანქანის ხარისხს. ამ ორ მომენტსაც დიდ ყურადღებას ვაქცევთ. ამჟამად ბუნიოსთვის ფრანგებმა სპეციალური ველოსიპედი დაამზადეს. მის ხარისხზე დიდ იმედებს ვამყარებთ“.

მალდივის კუნძულზე ბუნიო ნაყოფიერად ისვენებს და ახალი სტარტებისთვის ემზადება. იგი ამავე დროს თერმულ აბაზანებს იღებს და მკურნალობს ბრონქიტს, რომელმაც ბოლო დროს სიცოცხლე გაუმწარა.

სენსაცია ეს არის!

აი, ეს კი ნამდვილი სენსაციაა. შვეციის გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერის“ განცხადებით, 20-იანი წლების მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსანი, „მფრინავი ფინელი“ პაავო ნურმი, რომელსაც მოპოვებული ჰქონდა შვიდი ინდივიდუალური და სამი გუნდური ოლიმპიური ოქროს მედალი და რომელმაც ოცჯერ გააუმჯობესა მსოფლიოს რეკორდი სხვადასხვა სტაიერულ დისტანციაზე, თურმე აქტიურად იღებდა... დოპინგს. გაზეთი ბეჭდავს 1931 წელს ერთ-ერთ სპორტულ ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიას იმის შესახებ, რომ ნურმი აღფრთოვანებული იყო „რეიუვენის“ პრეპარატის ზემოქმედებით ადამიანის ორგანიზმზე.

ნურმი არ მალავს, რომ „...გაოცებულია ამ პრეპარატის ეფექტურობით. ჩემი ორგანიზმი საოცრად გარდაიქმნა. ვფიქრობ, სეზონის მანძილზე გადაღლილ სპორტსმენს „რეიუვენი“ საშუალებას მისცემს სწრაფად აღიდგინოს ძალები. მე ყველა სპორტსმენს მოვუწოდებ, მიმართოს ამ პრეპარატის ჯადოსნურ ძალას“. ნურმის ეს სიტყვები დათარიღებულია 1931 წლის 12 მარტით.

შვეციის ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდენტის განმარტებით, „რეიუვენი“ ჰორმონალური საშუალებაა და ამჟამად აკრძალულ სტიმულატორად ითვლება.

• • •



სურათზე: ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის პაავო ნურმის ბრინჯაოს ქანდაკება ჰელსინკის ოლიმპიური სტადიონის შესასვლელთან.

კალეიდოსკოპი

● ვინ გაივლებდა აზრად, რომ შვედეთის ჩოგბურთის ვარსკვლავს სტეფან ედბერგს, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა გამოცემამ 1990 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა, თავის სამშობლოში პირველ ნომრად არ სცნობდნენ.

როგორ გგონიათ, ვის მხარეზე აღმოჩნდა მისი თანამემამულეების სიმპათიები, ვინ გაუსწრო ედბერგს? წარმოიდგინეთ — ხელბურთელთა მთელმა გუნდმა. სწორედ იმან, რომელმაც შარშან მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში სძლია საბჭოთა კავშირის ნაკრებს და ოქროს მედლებს დაეუფლა.

სხვათა შორის, ეროვნული რადიოს მიერ მოწყობილ ამ გამოკითხვაში მონაწილეობდა 82391 კაცი. ეს შვეციის ყოველი მეათე მცხოვრებია.

● **„ოქროს ათჭიდელი“** — ორი ოლიმპიადის ჩემპიონი, ინგლისელი დ. ტომპსონი ნელ-ნელა უბრუნდება სპორტს. ეს ფენომენალური მძლეოსანი კარგა ხანს საერთოდ არ გამოსულა შეჯიბრებებში — მან მუხლის ურთულესი ოპერაცია გადაიტანა და ლოგინს იყო მიჯაჭვული. აღდგენითი პროცესიც ჩვეულებრივზე მეტ ხანს გაგრძელდა და ჩემპიონი, ფაქტობრივად, დაივიწყეს. მაგრამ ახლა ყველა სირთულე უკან დარჩა და ტომპსონი ინტენსიურ წვრთნას შეუდგა. თებერვალში იგი კალიფორნიას ეწვევა სავარჯიშოდ. ოლიმპიური ჩემპიონისთვის მთავარი შეჯიბრება მსოფლიო ჩემპიონატი იქნება, მანამდე კი მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე მეორეხარისხოვან ტურნირში.

● **ნბა-ს** პროფესიულ კალათბურთელთა ლიგაში დისციპლინის დამყარების ყველაზე ეფექტურ საშუალებად ჯარიმების პრაქტიკა ითვლება — დამნაშავეს, უბრალოდ, ნაკლებ ფულს უხდიან. დეკემბრის ოთხ ტურში, მაგალითად, ლიგის ხელმძღვანელობამ ჯარიმების სახით „დაზოგა“ 22 ათასამდე დოლარი. დასჯილთა სიაში კი ცხრამეტი კალათბურთელი აღმოჩნდა. 4000 დოლარი გადაიხადა ჰარვეი გრონტმა. გრეგ ჰოსტერსმა — 2000 დოლარი, დარელ უოკერმა (სამივე — „ვაშინგტონ ბულიტსი“), დენის როდმანმა და ჯო დიუმარსმა (ორივე — „დეტროიტ პისტონსი“) — ათას-ათასი დოლარი თითოეულმა.

◆

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 51-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1. 399.747 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (27) მოგება 2.211 მანეთია, ოთხისთვის (1.648) — 38, სამისთვის (29,213) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 30.774 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—27, 3—616.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 16.172.789 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (47) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (5.493) — 138, სამისთვის (198.853) — 6.

საქართველოში: დაშვებულია 425.074 ვარიანტი. 5—1, 4—161, 3—5.563.

51-ე და 42-51 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 12 იანვრიდან 12 თებერვლის ჩათვლით.

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 52-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.342.157 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (24) მოგება 2.515 მანეთია, ოთხისთვის (1.456) — 41, სამისთვის (27. 082) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 29.535 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—53, 3—877.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 21.601.126 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (34) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (8.098) — 145, სამისთვის (286.502) — 6.

საქართველოში: — დაშვებულია 463.699 ვარიანტი. 5—1 (თბილისი), 4—189, 3—6.139.

52-ე და 43-52 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 19 იანვრიდან 19 თებერვლის ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის 51-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.350.517 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (7) მოგება 5.036 მანეთი, 12 შედეგისთვის (206) — 342 მანეთი, 11 შედეგისთვის (2.958) — 83 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 118.395 ვარიანტი. 13—0, 12—13, 11—150.

51-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 12 იანვრიდან 12 თებერვლის ჩათვლით.

* * *

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 52-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.560.546 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (5) მოგება 7.681 მანეთია, 12 შედეგისთვის (41) — 1.873 მანეთი, 11 შედეგისთვის (718) — 374 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 115.080 ვარიანტი. 13—0, 12—2, 11—42.

52-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 19 იანვრიდან 19 თებერვლის ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი“. მესამე ტირაჟის პროგრამა (20 იანვარი)

			პროგნოზი			
	იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში					
1.	„ბოლონია“ (ბოლონია) — „ნაპოლი“ (ნეაპოლი)	20.I	10	80	10	X
2.	„ინტერი“ (მილანი) — „ლეჩე“ (ლეჩე)	20.I	60	30	10	1
3.	„იუვენტუსი“ (ტურინი) — „ჯენოვა“ (გენუა)	20.I	50	40	10	2
4.	„სამპდორია“ (გენუა) — „ლაციო“ (რომი)	20.I	40	50	10	1
	ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში					
5.	„მალიორკა“ (მალიორკა) — „რეალი“ (სან-სებასტიანი)	20.I	10	80	10	X
6.	„სევილია“ (სევილია) — ლოგრონიესი“ (ლოგრონიო)	20.I	60	30	10	2
7.	„ბარსელონა“ (ბარსელონა) — „რეალი“ (მადრიდი)	20.I	20	50	30	2
	სსრ კავშირის ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)					
8.	„სკა“ (ხაბაროვსკი) — „ლოკომოტივი“ (ირკუტსკი)	20.I	60	30	10	[illegible]
9.	„ენისეი“ (კრასნოიარსკი) — „სკ“ (სვერდლოვსკი)	20.I	70	20	10	X
10.	„საიანი“ (აბაკანი) — „კუზბასი“ (კემეროვო)	20.I	20	50	30	X
11.	„დინამო“ (მოსკოვი) — „სტროიტელი“ (სიქტივკარი)	20.I	60	30	10	1
12.	„გორკი“ (კრასნოგორსკი) — „ვოდნიკი“ (არხანგელსკი)	20.I	60	30	10	1
13.	„დინამო“ (ალმა-ათა) — „სტარტი“ (ნიჟნი ნოვგოროდი)	20.I	10	80	10	X

ქაღალდის უქონლობის გამო „ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 11 იანვარს.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

„ლელოს“ დღევანდელ ნომერს მორიგეობდა ზ. კახაძე, კორექტორები ც. ჩიტიშვილი და მ. ქეჟაძე.

ჩვენი მისამართი:
[illegible]

[illegible]

[illegible]